# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 14 თებერვალი. 2018 წ. №32 (8433), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## ესეც შენი რისკი, გველის წიწილო!

**ვეუბნებოდი, არაერთხელ ვეუბნებოდი: სამიკიტნოები და ქალები ცუგუნდერამდე მიგიყვანენ-მეთქი!** ③



ჟურნალისტური გამოძიება

## მიხეილ სააკაშვილი თვითნაბადი საერთაშორისო პროვოკატორია, თავსაც ირცხვენს და ქვეყანასაც არცხვენს ⑦



## ყურადღება!

## უფასო კონსულტაციები პაციენტებისთვის

16-17 თებერვალს თბილისის რეფერალურ ჰოსპიტალში სანაღვლე გზების, ღვიძლისა და პანკრეასის პრობლემების მქონე პაციენტებისთვის უფასო კონსულტაციები ჩატარდება. კონსულტაციებს ბათუმის რეფერალური ჰოსპიტლის ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტრანსპლანტოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი კახაბერ ქაშიბაძე და ჰეპატოლოგი სოფიო ბერიძე ჩაატარებენ. ჰეპატობილიარული სისტემის დაავადებების მაჩვენებელი საქართველოში საკმაოდ მაღალია და მათი დროული დიაგნოსტირება და მკურნალობა გამოჯანმრთელების შანსს მნიშვნელოვნად ზრდის. აღსანიშნავია, რომ ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი საქართველოში პირველი სამედიცინო დაწესებულებაა, სადაც 2014 წლიდან დღემდე ღვიძლის გადანერგვის 15 ურთულესი ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ქირურგ-ტრანსპლანტოლოგთან და ჰეპატოლოგთან მიღება 11:00-დან 17:00 სთ-მდე გაგრძელდება. სამედიცინო კონსულტაციების ჩასატარებლად წარმოებს წინასწარი ჩაწერა: +995 32 2 55 05 05 მის: თბილისი, ქინძმარაულის ქ. 31.

## ლევან იზორია: ②

**ამერიკა „ჯაველინების“ მოყიდვაზე 10 წელი უარს გვეუბნებოდა!..**

## აშშ-ის მიერ სირიაში განხორციელებულ ავიაიერიშს რუსი სამხედროები ემსხვერპლნენ!

აშშ-ის ავიაციამ 7 თებერვალს სირიაში, ჰიმაშის ტერიტორიაზე განლაგებულ პროსახელისუფლებო ძალებზე რამდენიმე საარტილერიო იერიში მიიტანა. ტელეკომპანია CBS-ს პენტაგონში მომუშავე წყარომ უთხრა, რომ დაღუპულებს შორის რუსი დაქირავებულებიც არიან.

იმის შესახებ, რომ დაღუპულებს შორის არიან რუსებიც, ცნობა ირანულმა სააგენტო Fars-მაც გაავრცელა, თუმცა გამოცემამ მათ რუსი სამხედრო მრჩევლები უწოდა. BBC-ის რუსული გამოცემის ცნობით, რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა გუშინ, რუსი სამხედროების დაღუპვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე განაცხადა, რომ ამ საკითხზე თავდაცვის უწყებამ უნდა ისაუბროს. რაც შეეხება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, უწყებამ აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა.

## სასათბურე პირობები ⑭ აზარტული კომპანიებისთვის

## დეკანოზ მამალაძის განაჩენს პროკურატურაც გაასაჩივრებს!



მთავარი პროკურატურა დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით განცხადებასავრცელებს.

**„თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 5 სექტემბერს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც გ.მ. დამნაშავედ იქნა ცნობილი შ.თ.-ს განზრახ მკვლელობის მომზადებასა და ცეცხლსასროლი იარაღის/საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18, 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მეორე ნაწილით.**

**სახელმწიფო ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით და სასამართლოს განაჩენით დადასტურებულია, რომ საქართველოს საპატრიარქოს ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილემ და შპს „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმე და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის“ გენერალურმა დირექტორმა გ.მ.-მ განიზრახა ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერების გამოყენებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივან-რეფერენტის შ.თ.-ს მკვლელობა. 2017 წლის 2 თებერვალს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, შ.თ.-სთან და სხვა პირებთან ერთად სამკურნალოდ გაემგზავრა გერმანიაში. გ.მ.-მ უმოკლეს ვადაში შეიძინა შ.თ.-ს მკვლელობის ჩასადენად განკუთვნილი 0,8740 გრამი მომწამლავი ნივთიერება „ნატრიუმის ციანიდი“-ს შემცველი ფხვნილი. 2017 წლის 10 თებერვალს გერმანიაში გამგზავრებამდე — თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იგი დაკავებულ იქნა სამართალდამცველების მიერ, ხოლო მისი ბარგის დათვალიერებისას ამოღებულ იქნა ფარულად შენახული, მკვლელობის ჩასადენად განკუთვნილი მომწამლავი ნივთიერება „ნატრიუმის ციანიდი“.**

**საბოლოოდ ბრალდებულ გ.მ.-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.**

**ბრალდების მხარე, სასამართლოს განაჩენს მოტივის ნაწილში, დასაბუთებული განაჩენის ჩაბარების შემდგომ, საკასაციო წესით გაასაჩივრებს“,** — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

## გახადე შრომა უსაფრთხო!

ამ სლოგანით რუსთაველის მეტროსთან ხელისუფლებისთვის წარსადგენ პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.

**„უკვე მეცხრე თვეა, პარლამენტში ამ კანონპროექტზე მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვასაც ვერ უზრუნველყოფს — კვლავ აწყდება დაბრკოლებებს (მათ შორის, ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხრიდან, რომელსაც გავლენა აქვს საქართველოს მთავრობაზე) და მისი განხილვა დაუსაბუთებლად ჭიანურდება. ამ პერიოდის განმავლობაში პროექტი მუდმივ ცვლილებებს განიცდის — ბიზნესლობისტების ზეწოლით დასაქმებულთა უფლებების დაკნინების და გაუარესების მიმართულებით.**

ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მონაცემებით, 2011 წლიდან 2016 წლის ბოლომდე სამუშაო ადგილებზე 776 ადამიანი დაშავდა და 270 დაიღუპა. 2017 წლის 10 თვის მონაცემებით კი, საწარმოო პროცესში დაღუპულთა რაოდენობა ოცდაათია.



**პეტიცია საქართველოს პარლამენტს, მთავრობასა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მას შემდეგ ჩაბარდება, რაც 10 000 ხელმოწერა შეგროვდება.**

# გიორგი კვირიკაშვილი საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ახალ ხელმძღვანელს შეხვდა



**პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ახალ ხელმძღვანელს როზარია პულისის შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა როზარია პულისის ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელად დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა.**

გიორგი კვირიკაშვილმა როზარია პულისის ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ყურადღება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის მნიშვნელობაზე გაამახვილა. აღინიშნა პროცესში ახალი დინამიკის აუცილებლობა. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. **საუბრისას ხაზი გაესვა ნატოს პროექტებს საქართველოში, რომლებიც ქართველ კოლეგებთან ერთად ხორციელდება და ამ ნაწილში, ქართული მხარის ეფექტურ მუშაობაზე გამახვილდა ყურადღება.**

როზარია პულისის შეფასებით, მნიშვნელოვანია, მოსახლეობის ინფორმირებულობა, თუ რა ეტაპზე იმყოფება საქართველო და რა პროგრესი აქვს ქვეყანას ნატოსთან თანამშრომლობის პროცესში. საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ახალი ხელმძღვანელის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის აქტივობა დაიგეგმება. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა შეხვედრისას ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაცია ქვეყნის მთავარი მიზანი და პრიორიტეტია.

# თბილისის მდგრადი განვითარება თუ კრიზისი?

**თბილისის მერმა კახა კალაძემ კონფერენციაში „თბილისის მომავალი: მდგრადი განვითარება, თუ კრიზისი“ მიიღო მონაწილეობა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა.**



დედაქალაქის მერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ქალაქის მთავრობა არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობისთვის მზადაა, რადგან ქალაქში მნიშვნელოვანი პროექტები ერთობლივად, რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართულობით უნდა განხორციელდეს. თბილისის მერმა კონფერენციის მონაწილეებს სურვილის შემთხვევაში, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო ვარიანტის განხილვის პროცესში ჩართვა შესთავაზა. მისი თქმით, დოკუმენტის მიღების პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალედ მიმდინარეობს.

# 2017 წლის მონაცემებით სახელმწიფოს ბალანსზე 123 საწარმო იმყოფება

**2017 წლის მონაცემებით სახელმწიფო ქონების სააგენტოს მართვის ქვეშ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 123 საწარმო იმყოფებოდა, საიდანაც 50-მდე საწარმო სამეწარმეო საქმიანობას ეწევა, დანარჩენი კი მიეკუთვნება არამომგებიან საწარმოთა რიცხვს.**

კორუფციასთან ბრძოლის, სახელმწიფო დანახარჯების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით 2017 წლის განმავლობაში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც დაესწრო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 55-მდე საწარმოს თანამშრომელი. საწარმოებს პროცესების მეტი გამჭვირვალობის მიზნით მსხვილ საწარმოებს დაევალათ წლიური ანგარიშის პროაქტიული გამოქვეყნება. 10-მდე საწარმომ უკვე გამოაქვეყნა საკუთარ ვებ-გვერდზე ფინანსური და არაფინანსური ანგარიში, აუდიტორულ დასკვნასთან ერთად.

მინიმიზაციის მიმართულებით 2017 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შედეგად სახელმწიფო საწარმოთა სიიდან ამოიშალა 22 საწარმო. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში საწარმოთა რიცხვს დაემატა 10 საწარმო. 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა 1 სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს პრივატიზება.

# აშშ „ჯაველინების“ მოყიდვაზე 10 წელი უარს გვეუბნებოდა!..

**საქართველოს აშშ „ჯაველინების“ მოყიდვაზე 10 წლის განმავლობაში უარს ეუბნებოდა** — ეს განცხადება თავდაცვის მინისტრმა პარლამენტში, საკომიტეტო მოსმენაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ აშშ-მა მხოლოდ 2017 წელს დააფასა გატარებული რეფორმები და თანხმობა განაცხადა საქართველოს მხრიდან „ჯაველინების“ შეძენაზე.

**„ჩვენ მთელი 10 წლის განმავლობაში ვითხოვდით „ჯაველინების“ სისტემის შეძენას, თუმცა არსებობდა გარკვეული გარემოებები, რის გამოც თითოეულ წელს, როდესაც ეს საკითხი იყო დაყენებული, უარი ითქვა. თუმცა, როდესაც 2017 წლის მარტში მივმართეთ ამერიკულ მხარეს, დააფასეს ჩვენს მიერ გატარებული რეფორმები და ეს იყო გადაწყვეტილებისთვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი. დააფასეს, რომ ჩვენი კურსი რეფორმების ნაწილში არის ურყევი. საქართველო-აშშ-ს ურთიერთობები, როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო სფეროში არის ახალ ეტაპზე გადასული, ინტენსიური თანამშრომლობა გვაქვს მათთან“,** — განაცხადა იზორიამ.

# ვაზიანში საბრძოლო მომზადების ცენტრი მაისში გაიხსნება

**„ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ სამხედრო წვრთნებს და შესაბამის ინფრასტრუქტურას. 2017 წელს 2 მილიონი ლარი მივმართეთ ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნებისა და შეფასების ცენტრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის. 18 მილიონი ლარი მივმართეთ ვაზიანში საბრძოლო მომზადების ცენტრის მშენებლობისკენ, რომელიც მზად იქნება უკვე წელს და მაისში ავამოქმედებთ ყველაზე ამბიციურ პროგრამას საქართველოს პარტნიორებთან ერთად — თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას. 3 მილიონი ლარი მივმართეთ საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ“,** — განაცხადა ლევან იზორიამ.



# ნატო ითხოვს, რომ შეიარაღებისთვის თავდაცვის ბიუჯეტიდან 20 პროცენტი იყოს გათვალისწინებული!

**„ჩვენ რეფორმების შედეგად უკვე გვაქვს მნიშვნელოვანი წარმატებები, რითაც მკაფიოდ და კონკრეტულად შემიძლია ვთქვა, რომ ვაკმაყოფილებთ ნატოს სტანდარტებს“** — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომის დაწყებამდე, ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარში. იზორიამ იმ ოპტიმიზაციაზეც ისაუბრა, რომელიც უწყებაში განხორციელდა: **„ჩვენ ოპტიმიზაცია დავიწყეთ იმ მიზნით, რომ თანხები მიგვემართა უმეტესწილად შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. ამ თვალსაზრისით, სახელფასო ხარჯების 53% უკვე 2018 წლის თავდაცვის ბიუჯეტით მიემართება მხოლოდ ხელფასებსა და სოციალურ დახმარებებზე, რაც არის ნატოს სტანდარტი. თუ 2015 წელს ეს იყო 66%, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ 53% გახდა. ამის შედეგად მეორე მნიშვნელოვანი სტანდარტი დავაკმაყოფილეთ, კერძოდ, მივმართეთ დიდწილად თანხები შეიარაღებაზე. თქვენ იცით, რომ თავდაცვის ბიუჯეტი უნდა აკმაყოფილებდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ს, რასაც ვაკმაყოფილებთ და მეტიც, შეიარაღებისთვის ნატო ითხოვს, რომ ამ ბიუჯეტიდან 20% იყოს გათვალისწინებული, რასაც ვაჭარბებთ. ეს არის ისტორიული მოვლენა“.**



# აშშ-ის ელჩი იან კელი: ჩვენი პრიორიტეტი არის, საქართველო იყოს ძლიერი



**ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იყოს ზედმიწევნით დაცული სამართლიანი პროცესი არა მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტის, არამედ ყველა მოქალაქის მიმართ. რომ გიპასუხოთ კითხვაზე, რა გავლენა ექნება ამ მოვლენებს საქართველოს პოლიტიკურ პროცესზე გეტყვით, ჩვენი პრიორიტეტი არის, საქართველო იყოს ძლიერი, მტკიცე და სტაბილური ქვეყანა.**

ვფიქრობ, რომ საქართველომ მთელი რესურსი ამ მიზნის მისაღწევად უნდა მიმართოს, რათა უზრუნველყოს საკუთარი ხალხის კეთილდღეობა მომავალში. სხვა მიმართულებით, ყველა გადაწყვეტილება საქართველომ დამოუკიდებლად უნდა მიიღოს, რადგან არის დამოუკიდებელი ქვეყანა.

# ეს არის შეურაცხმყოფელიც, მტკივნეულიც და დამაფიქრებელიც!



სასიამოვნო არაფერია იმაში, რაც მიხეილ სააკაშვილის შესახებ გავრცელებულ კადრებში ვიხილეთ, — განაცხადა „შენების მოძრაობის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა.

**როდესაც საქმე ეხება ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს, ეს არის შეურაცხმყოფელიც, მტკივნეულიც და დამაფიქრებელიც, მაგრამ სამწუხაროდ, ეს გზა აირჩია ყოფილმა პრეზიდენტმა. რაც შეეხება მის მომავალს, სამწუხაროდ, უკრაინელებმა არ გაითვალისწინეს ჩვენი გაფრთხილება მასთან დაკავშირებით. იმედია, ახლა პოლონელები მაინც გაითვალისწინებენ,** — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

# „ის ქართული მართლმსაჯულების წინაშე აუცილებლად წარსდგება!“



მიხეილ სააკაშვილი ქართული მართლმსაჯულების წინაშე აუცილებლად წარსდგება, ამის გარანტიას გაძლევთ ჩვენი ხელისუფლების თითოეული წარმომადგენელი — აცხადებს ირაკლი სესიაშვილი: **„ადამიანს, რომელსაც პრეზიდენტობის დროს ქვეყანაში ჰქონდა 9-წლიანი დიქტატურა, ტოტალური კონტროლი და მიუხედავად ამისა, მან არჩევნები წააგო, ადამიანი, რომელიც წავიდა უკრაინაში და მესიის ამბიციები ჰქონდა, სულ რაღაც რამდენიმე წელში იქიდან გააგდეს. მე უბრალოდ არ მინდა, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ასეთი იმიჯი ჰქონდეს. ის ქართული მართლმსაჯულების წინაშე აუცილებლად წარსდგება, ამის გარანტიას გაძლევთ ჩვენი ხელისუფლების თითოეული წარმომადგენელი. თუ როგორ, რანაირად, ეს დროის ფაქტორია, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ შემთხვევაში ქვეყნის იმიჯი უფრო მაინტერესებს, ვიდრე ერთი ადამიანის, ან ერთი პოლიტიკოსის ბედი“,** — განაცხადა სესიაშვილმა.

# ეკა ზღულაძემ უკრაინის მოქალაქეობაზე უარი თქვა

უკრაინის შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ეკა ზღულაძემ უკრაინის მოქალაქეობაზე უარი თქვა და საქართველოს მოქალაქეობა აღიდგინა. ამის შესახებ უკრაინული ტელეკომპანია „მეხუთე არხის“ ეთერში უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების მინისტრის მოადგილემ იური გრიმჩაკმა განაცხადა.

**„როგორც ვიცი, ეკა ზღულაძემ, მას შემდეგ, რაც დაასრულა თავისი „კადენცია“ ჩვენთან პოლიციის ხელმძღვანელის პოსტზე, უარი თქვა უკრაინის მოქალაქეობაზე და საქართველოს მოქალაქეობა აღადგინა შესაბამისი ორგანოებისადმი მიმართვით. დღეისთვის ის აღარ არის უკრაინის მოქალაქე, არამედ საქართველოს მოქალაქეა“,** — განაცხადა გრიმჩაკმა.

# ვეუბნებოდი, არაერთხელ ვეუბნებოდი: სამიკიტნოები და ქალები ცუგუნდერამდე მიგიყვანენ-მეთქი!

**ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი, რომელიც 12 თებერვალს კიევში რესტორან SULUGUNI-ში დააკავეს, პოლონეთში ადგილობრივი დროით 16:00 საათზე ჩარტერული რეისით გაფრინდა.**

როგორც მედიასაშუალებები წერენ, ეს არ არის დეპორტაცია, არამედ რეადმისია, **ანუ არალეგალის დაბრუნება იმ ქვეყანაში, საიდანაც უკრაინის საზღვარი გადაკვეთა.**

ამ ფაქტთან დაკავშირებით, პოლონეთის სასაზღვრო სამსახურმა უწყების ოფიციალურ საიტზე განცხადება გაავრცელა.

**„გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო უკრაინის საიმიგრაციო სამსახურის მიერ წარმოდგენილი განცხადება რეადმისიის შესახებ. უკრაინული მხარის განცხადების განხილვისას თავისი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეა“,** — ნათქვამია პოლონეთის სასაზღვრო სამსახურის განცხადებაში.

ფრაზას, რომლითაც ეს წერილი დავასათაურე, ცნობილ მხატვრულ ფილმში “შეხვედრის ადგილი უცვლელია“, ბანდის მეთაური „Горбатый“ („კუზიანი“), დაპატიმრებული ბანდის წევრის „ფოქსის“ მისამართით ამბობს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზუსტად შეეფერება მიხეილ სააკაშვილის „მოღვაწეობას“, მაგრამ დღეს ეს საინტერესო ნამდვილად არ არის.

უფრო მნიშვნელოვანი და სენსიტიური ის დამოკიდებულებაა, რომელიც საქართველოს პირველ პირებს მიხეილ სააკაშვილის პერსონის მიმართ გააჩნიათ.

**„არა გვაქვს არავითარი ინტერესი, თუ სად იქნება მიხეილ სააკაშვილი, საქართველოში, უკრაინაში თუ სადმე სხვაგან“,** — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან ინტერვიუში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** ექსტრადაციის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ირაკლი კობახიძის განმარტებით, აღნიშნულ საკითხს აქვს ორი მხარე — პოლიტიკური და სამართლებრივი.

**„რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, ჩვენ არ გვაქვს არავითარი ინტერესი, თუ სად იქნება მიხეილ სააკაშვილი, საქართველოში, უკრაინაში თუ სადმე სხვაგან. პოლიტიკური თვალსაზრისით ის ნაკლებად აქტუალურია საქართველოში. 2016 წლის არჩევნებამდე ის, ისევე როგორც „ნაციონალური მოძრაობა“, იყო ერთგვარი საფრთხე ქართული დემოკრატიისთვის, თუმცა 2016 წლის შემდეგ ეს ვითარება შეიცვალა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ინტერესი ხელისუფლებას არ აქვს ამ საკითხის მიმართ. რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, ესაა შესაბამის უწყებებს შორის განხილვის საგანი და შესაბამისი უწყებების ფორმატში იქნება მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გაგრძელდება პროცედურები“,** — განაცხადა **ირაკლი კობახიძემ**.

**„მიხეილ სააკაშვილის ბოლო ამბები არის კომედიის ჟანრი. ეს არ არის პოლიტიკა, არც სერიოზული ქმედება. ეს აღარ არის არც სასაცილო. ეს არის ერთი იაფფასიანი კომედიური ჟანრის სერიალის სცენარი“,** — აცხადებს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია.

უკაცრავად, მაგრამ რას ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოს მეორე პირის ფრაზა — **„ჩვენ არ გვაქვს არავითარი ინტერესი, თუ სად იქნება მიხეილ სააკაშვილი, საქართველოში, უკრაინაში თუ სადმე სხვაგან“?**

და, საერთოდ, რას ნიშნავს ამ განცხადების პათოსი?

ე.ი. საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ აინტერესებს, თუ სად იქნება სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი დანაშაული ჩაიდინა!

არ მოვიყვან ისრაელის მაგალითს, როდესაც საერთაშორისო დამნაშავე აიხმანს მოტაცება და მისი პასუხისგებაში მიცემა არგენტინიდან პრემიერმინისტრის თვითმფრინავით განახორციელეს და ამისთვის სპეციალური სამთავრობო შეხვედრა დანიშნეს!!!




არ გავიხსენებ ამ ამბავს, რადგანაც შედარება უფრო გამაღიზიანებელია!

სააკაშვილის მიმართ ასეთი დამოკიდებულება, რომლითაც ხელისუფლება ცდილობს, მისი სტატუსი დააკნინოს, ძალიან უაზრო, უადგილო და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ე.წ. „საქართველოს მესამე პრეზიდენტის“ რეჟიმის მსხვერპლნი გახდნენ, შეურაცხმყოფელია.

ხელისუფლებას სურს, რომ ვითომდა მისი პოლიტიკური წონა გააბიაბრუოს, იაფფასიანი კომედიური ჟანრის სერიალის გმირად წარმოაჩინოს, მაგრამ მსგავსი საუბრები შეიძლება ჰქონდეს უბრალო ობივატელს, რომელიც სამზარეულოში, ჩაის სმის დროს მეუღლესთან იჭორავებს, მაგრამ სახელმწიფოს პირველი პირებისგან, მათგან, ვინც თავად უნდა იყოს სამართლიანობისა და მართლმსაჯულების შეურიგებელი დამცველი, სახელმწიფოს ნების აღსრულების სრული კატასტროფაა.

სახელმწიფომ ნებისმიერი ადამიანის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულების მიმართ, ძალიან მკაცრი და შეურიგებელი პოზიცია უნდა დაიჭიროს. იმიტომაც არის სახელმწიფო (უკაცრავად რაღაც ლექციის მსგავსად გამომდის, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭირო ყოფილა). დიახ, მკაცრი და შეურიგებელი პოზიცია, რადგანაც მსგავს დამოკიდებულებას, უამრავი მეტასტაზი მოსდევს, რაც დღევანდელ პოლიტიკურ, აღმასრულებელ თუ სამეურნეო სივრცეში სწორედაც რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ძალიან ცუდ შედეგებს იწვევს!

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ სააკაშვილის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება იწვევს იმ ამაზრზენ ფაქტებს, რომლებიც ამ ბოლო დროს უამრავი ვნახეთ. იწვევს ნარკობარიგების მიმართ უაზრო ლოიალურ შემწყნარებლობას, იწვევს დამნაშავე პოლიციელების მიმართ „შელახულ მუნდირზე ჭუჭყის ჩამოწმენდას“, იწვევს ხალხში საკუთარი სიმართლის დამტკიცების მიმართ ნიჰილიზმს.

იწვევს ყველაზე ცუდ ეფექტს: საზოგადოების გონებაში, სახელმწიფოს მხრიდან ორმაგი სტანდარტის არსებობის დადასტურებას და მისადმი მიჩვევას.

საოცარია, მაგრამ შეფასებებში ხელისუფლებას თამარ ჩერგოლეიშვილმა აჯობა.

**„მას თან ვინც გადაჰყვა, ისინი მოღალატეებად შერაცხა და კანალიზაცია მიუშვა მათზე“**. „მიშას მხარდამჭერები ამბობენ, უგონებთ, რომ გორავს, ეს მიშა არააო... ჩვენი ფიფქია“. „სააკაშვილს 7 ნოემბრის შემდეგ შეეშინდა... სატელევიზიო სივრცე შეივსო ტაშ-ფანდურით, დისკუსიები გაქრა... ეშინოდათ“! „გაიგეთ? ციხეში ჩაჯდომით შეუძლია ბიძინას დამხობა და არ ჯდება...“ ეს მხოლოდ მცირედია იმ შეფასებებისა, რასაც ჩერგოლეიშვილი სააკაშვილის მისამართით წერდა.

მისი კრიტიკა ზუსტია და, ფაქტობრივად, ხალხის სათქმელს ამბობს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამას თამარ ჩერგოლეიშვილი აკეთებს და არა ხელისუფლების პიარი (ბუნებრივია, ხელისუფლების წარმომადგენლები ჩერგოლეიშვილის ფრაზეოლოგიით ვერ ისაუბრებენ, მაგრამ წესით უნდა შეწუხდნენ და ბოლო-ბოლო „სიგარეტი მაიც მოწიონ“).

გიგი უგულავამ „ფილოსოფიურად“ შეაფასა 12 თებერვალი: **„მიხეილ სააკაშვილის მხრიდან თავის დროზე უკრაინის მოქალაქეობის მიღება არასწორი ქმედება იყო. ეს მიშას უდავო შეცდომა იყო. ამ შეცდომამ სპირალურად მიიყვანა იქამდე, სადამდეც მიიყვანა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოროშენკოს გადაწყვეტილება იყო მართებული მოქალაქეობის შეჩერებასთან დაკავშირებით“,** — განაცხადა გიგი უგულავამ.

მისივე შეფასებით, პოლონეთი პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, კანონის უზენაესობა იქ დაცულია და სააკაშვილის ციხის საფრთხე აღარ არსებობს. უგულავა ვარაუდობს, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლონეთიდან შეძლებს პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას.

თქვენ წარმოიდგინეთ და ისიც უფრო მკაცრი და ზუსტია, ვიდრე... ეჰ, აღარაფრის თქმა აღარ მინდა.

არა რა, მართლა საოცარი ქვეყანაა საქართველო:

აზერბაიჯანის ვიღაც მოქალაქე, თავისმა ქვეყანამ გაასამართლა და „ჩვენი“ ე.წ. არასამთავრობოები და მედია ამაზე ღელავს, შფოთდება და ფეხებს აბაკუნებს. ამით დამფრთხალი ხელისუფლება, აცხადებს რომ იმ უცხო ქვეყნის მოქალაქის „თავგადასავალს“, აკვირდებიან და ამ დროს ის ტიპი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტი იყო, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, დაწყებული ადამიანების მასობრივი ჟლეტიდან გაგრძელებული მოქალაქეების ძარცვით და დამთავრებული უამრავი ამორალური დანაშაულით, ტიპი, რომელსაც დღეს არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არა აქვს, — არ აინტერესებთ!

უცხო (ჩვენთვის „ისტორიულად მეგობარი“) ქვეყანაში, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მონაწილეობაში ეჭვმიტანილი დააკავეს და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია ამაზე ღელავს, შფოთდება და ფეხებს აბაკუნებს.

ახლა რომ გითხრათ — გაიღვიძეთ ხალხოო! მეტყვით — წადი შენი, რას გვაღვიძებ, ისეთ გემრიელ სიზმრებს ვხედავთო!

ჰოდ, ამიტომ ჩაგიჩურჩულებთ: ძილი ნებისა პატარებო, იავ ნანაა, ვაარდოვ ნანა...

მე კი წავალ და ვაგნერს მოვუსმენ, რადგანაც ცნობილი რეჟისორისა და მსახიობის ვუდი ალენის თქმისა არ იყოს: „მე არ შემიძლია, რომ დიდხანს ვუსმინო ვაგნერს. ეგრევე პოლონეთზე თავდასხმის დაუძლეველი სურვილი მიჩნდება!“



**გია გაბრიჭიძე**

## მთავარ პროკურატურას სააკაშვილის ექსტრადირების თხოვნა პოლონეთში გაგზავნილი აქვს

**საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით პოლონეთის მხარისთვის უკვე მიმართული აქვთ და აღნიშნულ მიმართვას ძალაში ტოვებენ. — 4 აგვისტოს, მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საქართველოს პროკურატურამ პოლონეთის მხარეს ინტერპოლის არხებით მიმართა.**

**ამავე დროს, პარალელურად, 4 აგვისტოს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით მიმართა პოლონეთის რესპუბლიკის პროკურატურას. ამავე დღეს, 4 აგვისტოს, ვარშავის ინტერპოლის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ მიიღო ქართული მხარის მიერ გაგზავნილი დოკუმენტაცია, რაც მათი მხრიდან დადასტურებულ იქნა თბილისის ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს წარმომადგენელთან სატელეფონო საუბრისას. ამ დროისთვის მიმდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი პროცედურა, — აცხადებენ პროკურატურაში.**

## „ცოტათი კისერი მტკივა, მაგრამ ეს ტკივილი გაივლის, უკრაინელ ოლიგარქებს კი კისერს მოვტეხ“

**„ჩემი მოშორების მცდელობა უბრალოდ განწირულია მარცხისთვის. მე ვრჩები უკრაინელ პოლიტიკოსად, ისევე როგორც ვრჩები ქართველად, და აუცილებლად აღვიდგენ უკრაინის მოქალაქეობას. გუშინდელი დაკავების შემდეგ ცოტათი კისერი მტკივა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს კისრის ტკივილი გაივლის, უკრაინელ ოლიგარქებს კი მე კისერს მოვტეხ აუცილებლად. მე მაქვს შესაბამისი გამოცდილება და ვიცი, როგორ უნდა იმუშაოს ციხეებმა, ამიტომ მე ვპირდები პეტრო პოროშენკოს, იური ლუცენკოს, არსენ ავაკოვსა და რინატ ახმეტოვს, რომ ისინი უკრაინის ციხეებში მოხვდებიან“, — განაცხადა სააკაშვილმა პოლონეთში პრესკონფერენციაზე.**

**მიზანთროპმა ადოლფ ჰიტლერმა ყველაფერ ცუდის საწყისად, რაც მაშინდელ გერმანიაში და დანარჩენ მსოფლიოში ქრისტეს აქეთ ხდებოდა, იუდეველნი გამოაცხადა და ანტისემიტური დროშით იმათ მიმართ ე.წ. კუდიანებზე ნადირობაც დაიწყო!**

**რითიც დამთავრდა ჰიტლერული „საფარი“ ცნობილია — მეორე მსოფლიო ომის დროს გაზის კამერებში 6 მილიონი ებრაელი მოაკვდინეს, ხოლო შემდეგ დიდმა საბჭოეთმა სტალინის მეთაურობით საკუთარ ბუნაგში გაანადგურა არა მხოლოდ ებრაელების, არამედ კაცობრიობის უბოროტესი მტერი, ფაშიზმი და იგივე სტალინის ნებამ, მრავალ საუკუნეთა მანძილზე დევნილ ებრაელობას საკუთარი სახელმწიფო შეუქმნა...**



# რუსოფობია, ოცდამეერთე საუკუნის ანტისემიტიზმი...

ის, რაც დღეს ზოგადად დასავლეთში და კონკრეტულად აშშ-ში ხდება, ძალიან ჰგავს XX საუკუნის 30-იან წლებში ფაშისტურ გერმანიაში განვითარებულ მოვლენებს — მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე, ზოგადად დასავლეთმა ლიბერალური დემოკრატიის რეჟიმები დაამყარა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ნეოლიბერალური მსოფლიოს მედროშე აშშ-მა ახლა რუსი ერის მიმართ დაიწყო „დემოკრატიული საფარი“ ერთადერთი მიზნით, რომ ახლა რუსები გამოაცხადონ ებრაელთა მსგავსად კაცობრიობის მტრად, მაგრამ მსოფლიო (მათ შორის, ქართველ) ლიბერასტთა სამწუხაროდ, დღევანდელსა და გასული საუკუნის მოვლენათა შორის მსგავსება აქ მთავრდება — რუსი ერი მაშინდელ ებრაელთა მსგავსად უქომაგო, უსამშობლოდ დევნილი კი არა, ხმელეთის 1/8-ზე გადაჭიმული უზარმაზარი ბირთვული იმპერიის ბატონ-პატრონია და თუნდაც მხოლოდ აქედან გამომდინარე, შეუძლებელია რუსების ებრაელთა მსგავსად დადაღვა, მით უმეტეს, მათი გენოციდი!

2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის გამოსვლიდან, ვიდრე დღემდე მიმდინარეობს დასავლეთის მიერ გამოუცხადებელი ცივი თუ ცხელი ომები რუსეთის დემონიზაციის მიზნით:

**საინფორმაციო,** როდესაც რუს ხაკერებს აბრალებენ დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებას, ბრიტანეთის რეფერენდუმზე, ე.წ. ბრექსიტზე ზეგავლენის მოხდენას, მოლდოვას, ფინეთის, ჩეხეთის, საფრანგეთის, გერმანიის არჩევნებში ჩარევას, რომლებშიც, ან პრორუსული ორიენტაციის პრეზიდენტებმა გაიმარჯვეს, ან ნეოკონსერვატორებმა ისეთი სერიოზული შედეგები დადეს, რომ ფრანგმა თუ გერმანელმა ლიბერასტებმა ერთპიროვნულად ვერ შეძლეს აღმასრულებელი ხელისუფლებების ფორმირება;

**სპორტული ომი,** როდესაც რუსეთისთვის ჯერ ფეხბურთის მუნდიალის წართმევა სცადეს და ეს რომ არ გამოუვიდათ, ახლა ლამის მთელი ოლიმპიური ნაკრები დასაჯეს და ვისაც არ შეეხო დოპინგ-სანქციები, მათ ეროვნული კოსტიუმებისა და ჰიმნის გარეშე მოუწევთ სამხრეთ კორეაში ასპარეზობა — მსოფლიოს თითქმის ყველა სპორტული ფედერაცია, მათ შორის „სოკ“-ც (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი), რომ ვაშინგტონიდან იმართება, ესეც უდავო ფაქტია;

**დიპლომატიური,** როდესაც უკვე კოჭლმა იხვმა, ანუ თეთრი სახლიდან დღე-დღეზე წამსვლელმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, საახალწლოდ რამდენიმე ათეული დიპლომატი გააძევა ამერიკიდან და რუსეთის ფედერაციის კუთვნილ შენობა-ნაგებობებს პრაქტიკულად კონფისკაცია უყვეს;

**ეკონომიკური** სანქციები და ა.შ. ეს რაც შეეხება ცივ ომებს...

სირიაში რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ქმედებებს, თამამად შეგვიძლია, რომ აშშ-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ცხელი ომი ვუწოდოთ, რადგანაც ისლამისტი ტერორისტების უკან რომ აშშ-ის სპეცსამსახურები და მათივე ფინანსები მოიაზრება, ეს არახალია.

ეს ყველაფერი პირადად ვლადიმერ პუტინის, ე.ი. რუსეთის საწინააღმდეგოდ ხდება, რომელიც, ვისთვის სამწუხაროდ და ვისთვის სასიხარულოდ, უალტერნატივოდ გაიმარჯვებს ა.წ. 18 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებში და მინიმუმ კიდევ 6 წელიწადი დასავლეთი იმ მწარე რეალობის წინაშე იდგება, რასაც — „ვამბობთ პუტინს, ვგულისხმობთ რუსეთს, და ვამბობთ რუსეთს, ვგულისხმობთ პუტინს“, ჰქვია!..

ეს კი თავის მხრივ გასაგებს ხდის ერთი შეხედვით პარადოქსს, მიუხედავად ბარაკ ობამას ხმამაღალი განცხადებისა, რომ მან რუსეთის ეკონომიკა ნაფლეთებად აქცია, რის გამოც რუსეთის მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა გაუარესდა, არ გამართლდა იანკების მოლოდინი და რუსები არა თუ წითელ მოედანზე გამოცვივდნენ იაფი ძეხვისა და პუტინის გადადგომის მოთხოვნით, არამედ მოხდა ის, რაც არაერთხელ მომხდარა რუსეთის ისტორიაში — რუსეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უფრო მეტად შეიკრა და დაირაზმა ვლადიმერ პუტინის გარშემო, რომლის რეიტინგმა, მით უმეტეს ყირიმის რუსეთთან მიერთების შემდეგ, ოთხმოც პროცენტს გადააჭარბა და ეკონომიკამაც ჯერჯერობით მცირედით, მაგრამ სტაბილურად განვითარება დაიწყო.

ისტორია ვახსენეთ, და ასე იყო ნაპოლეონის შემოსევისას, როდესაც არ გამართლდა უზურპატორის იმედები, რუსებს ბატონყმობიდან განთავისუფლებას დავპირდები და ისინიც საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ იბრძოლებენო...

რუსი გლეხობა არა თუ აჯანყდა მჩაგვრელი „ბარინების“ წინააღმდეგ, არამედ სწორედაც რომ გლეხებისგან შემდგარმა დენის დავიდოვისა თუ ატამან პლატოვის პარტიზანულმა რაზმებმა ლომის წილი დაიდეს ნაპოლეონის უძლეველი არმიის ძლევაში; ასე იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც კერძო საკუთრებას და ქრისტიანული ზარების რეკვასდანატრებული რუსები არა თუ სტალინის წინააღმდეგ აჯანყდნენ, არამედ გენერალისიმუსის მეთაურობით ბერლინში „დაუმთავრეს“ რუსებმა გერმანელებს.

ყოველივე ზემორე თქმულის მიუხედავად, მაინც ბოლომდე არაა გასაგები რუსეთის, პუტინის დემონიზაციის ნამდვილი მიზეზი, რის გარკვევასაც ახლა შევეცდებით...

ამას წინათ აშშ-ს ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა საჯაროდ განაცხადა — აშშ-რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობების აღდგენის მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი რუსეთის მიერ ლიბერალური ფასეულობების აღიარება-მიღებაზე უარის თქმაა!

ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად ნამდვილად ეს ბრძანა აშშ-ის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა...

თანამედროვე დასავლეთის მთავარი ღირებულება, რომ, როგორც მინიმუმ ევროატლანტიკური სივრცის ტოტალური ლგბტ-ზაციაა, ანუ **არა სქესს,** ეს თავის დროზე აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და სახდეპის მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადეს, რაც კიდევ რამდენიმე **არას** გულისხმობს: **არა** სამშობლოს, **არა** ისტორიას, **არა** ღმერთს, **არა** ოჯახის ინსტიტუტს, **არა** ზნეობას, **არა** მორალს და **არა, არა, არა** ლამის უსასრულოდ შეიძლება ჩამოვთვალოთ, რადგანაც ნეოლიბერალური იდეოლოგია ყველაფერ იმას უარყოფს, რითიც დღემდე მოვიდა კულტურული კაცობრიობა!..

* * *

2 თებერვალს, გაეროში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლის **მადამ ნიკი ხეილის** განცხადება გავიხსენოთ. ყურადღება, ციტატა:

**„რუსეთი ჩვენი მეგობარი არ არის!**

**თუმცა არსებობს თემები, სადაც შეიძლება ვითანამშრომლოთ და ვითანამშრომლებთ კიდეც, მაგრამ რუსეთი ჩვენი მეგობარი ვერ გახდება, სანამ რუსეთის მთავრობა საკუთარ ფასეულობებს (კონსერვატიულ-ტრადიციულ დ.მ.) მისდევს და სანამ საერთაშორისო არენაზე ისე იქცევა, როგორც დღეს“...**

მშვენიერი ქალბატონის ეს განცხადება კი იმას ნიშნავს, რომ ე.წ. ლიბერალური ფასეულობების მიმართ ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირე“ აშშ-ის დამოკიდებულება სისტემური ხასიათისაა. ანუ მნიშვნელობა არა აქვს, ხელისუფლებაში დემოკრატი ვირები იქნებიან თუ რესპუბლიკელი სპილოები!

## ეპილოგის მაგივრად

Heritage Foundation — აშშ-ის სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტის საგარეო პოლიტიკის ცენტრის მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში ცენტრის დირექტორი **ლუკ კოფი** წერს:

**„ნატოს ზოგიერთი წევრი შიშობს, რომ საქართველოს ალიანსში მიღება მოსკოვის მიერ ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების გამო, რუსეთთან ავტომატურ ომს გამოიწვევს. საქართველოს ოფიციალური პირები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ მოხარულები იქნებიან, დათანხმდნენ ნატოს წევრობას კომპრომისის საფუძველზე. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ალიანსის მეხუთე მუხლი, რაც კოლექტიურ თავდაცვასა და უსაფრთხოების გარანტიას გულისხმობს, დროებით არ გავრცელდეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სანამ ეს საკითხი რუსეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით არ გადაწყდება“, — წერს ლუკ კოფი. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონზე გავრცელდება ნატოს წესდების მეექვსე მუხლის შესწორება. ამის პრეცედენტი უკვე არსებობს. ანალოგიური შესწორება მიიღეს 1951 წელს, როდესაც ალიანსს საბერძნეთი და თურქეთი შეუერთდნენ. „ეს იქნებოდა მხოლოდ დროებითი ზომა, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში აღდგება“...**

ეს, როგორც იტყვიან, ინფორმაცია უკომენტაროდ იმის განსჯისთვის, თუ ვინ შეიძლება, რომ მოიაზრებოდეს „საქართველოს ოფიციალურ პირებში“, რომლებიც ნატოში შესვლის სანაცვლოდ, მზად არიან საქართველო გაყიდონ!

თუმცა რა, სამშობლოს გამყიდველთა სახელი ლეგიონია...



**დავით მხეიძე**

## P. S.

**დღეს პუტინის რუსეთი და მისი მართლმადიდებელი ეკლესიაა ტრადიციული ღირებულებების უპირველესი დამცველი!**

**თუნდაც მხოლოდ ამიტომ შეგვიძლია იმის თქმა, რომ რუს ერთან სარწმუნოებრივი ერთობა და მათთან ძმური კავშირი, დღეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერეკლე მეორის დროს იყო... ამას წინათ, სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის თანდასწრებით რუსეთის დუმამ მსჯელობა დაიწყო ზნეობრიობრიობასთან მიმართებით ექსპერტთა საბჭოს შექმნის შესახებ.**

**ახლა მავანი ხლისტი თავისი მოკლე ჭკუით ნიშნს მოგვიგებს — რუსეთში პედერასტების მეტი რა არისო?**

**ამ „ჩამჭრელი“ კითხვის მასუხი მარტივია — ამა თუ იმ საზოგადოების ზნეობრიობის დონე ლგბტ პედერასტების რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ იმავე საზოგადოების, სახელმწიფოს დამოკიდებულებით სოდომიის ეპიდემიის მიმართ!**

**რუსეთის დუმამ რამდენიმე წლის წინათ კანონმდებლობით 99 წლით აკრძალა არასრულწლოვნებში გეი პროპაგანდა, რაც გამორიცხავს გეი პარადების ჩატარებასა და ერთნაირსქესიანთა ქორწინებების რეგისტრაციას.**

**ეს კანონი რომ კანონობს, ამას წინათაც დამტკიცდა:**

**რუსეთის ორმა მამრმა მოქალაქემ, ერთნაირსქესიანი ქორწინება კოპენჰაგენში გააფორმეს. ამის შემდეგ მოსკოვში შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ მათ პასპორტებში ოჯახური მდგომარეობის გვერდზე ქორწინების ოფიციალურად დამადასტურებელი ბეჭდები ჩაურტყა, რის გამოც იმ უწყების ხელმძღვანელობა კინწისკვრით გამოაგდეს სამსახურიდან „ველურმა რუსებმა“...**

**ასეთი რამ ჩვენში რომ მოხდეს, ხომ წარმოგიდგენიათ რა მოხდება?**

**ჩვენი „პრადვინუტი“ ასოები და ზოგადად ლიბერასტები საზეიმო დახვედრას მოუწყობდნენ ახლად დაქორწინებულ ჯემალას და შალიკოს, ხოლო პრეზიდენტი მარგველაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში მიიღებდა ბედნიერ წყვილს ისე, როგორც მისმა კოლეგა ბარაკ ობამამ უმასპინძლა თეთრ სახლში კონჩიტა მარტინესს!**

**ფუი ეშმაკს, არ აგვიხდეს...**

**დ. მ.**

# გმადლობთ მრავალწლიანი მოღვაწეობისა და ფასდაუდებელი წვლილისთვის

**საკუთარი საქმისთვის თავდადებულ ინჟინერ-მშენებელს, ღვაწლმოსილ პროფესიონალს თენგიზ ჩიკვაიძეს დღეს 80 წელი შეუსრულდა.**

ბატონ თენგიზს უდიდესი წვლილი მიუძღვის სასოფლო-სამეურნეო დარგში სტრატეგიული ობიექტების მშენებლობის, აგროსამრეწველო სექტორის ინდუსტრიალიზაციისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით აშენდა და აღიჭურვა მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკები, მეცხოველეობის ობიექტები, გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის ახალი საწარმოები, სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობები, სამეცნიერო, განათლებისა და კულტურის ობიექტები, აშენდა ასამდე ახალი კეთილმოწყობილი სოფელი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის.

თენგიზ ჩიკვაიძის შრომითი საქმიანობა 16 წლის ასაკიდან იწყება. 1975 წლიდან კი, 21 წელი იგი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეა მშენებლობის დარგში.



1996 წლიდან თენგიზ ჩიკვაიძე მელიორაციის მიმართულებით მუშაობს. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, პირველად დარგის ისტორიაში, უცხოელ ინვესტორებთან და ექსპერტებთან ერთად, დამუშავდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგის კრიზისიდან გამოყვანის კომპლექსური ღონისძიებები, შეიქმნა ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, გატარდა რეფორმები, ჩამოყალიბდა ევროპული სტილის წყალმომხმარებელთა ასოციაციები და დარგი გადავიდა ფასიან წყალმომსახურებაზე, დაიგეგმა და განხორცილდა სამელიორაციო სისტემებისა და ნაგებობების რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროექტები.

არანაკლებია ბატონი თენგიზის წვლილი ახალგაზრდების კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეშიც.

მისთვის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობით, თავმდაბლობითა და თბილი, მეგობრული ურთიერთობით, ის დღესაც აქტიურად მონაწილეობს მელიორაციის დარგის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში.

ბატონ თენგიზს თავდადებული შრომისთვის მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და წოდება. მისი ბიოგრაფია ითვლის საპატიო ნიშნის და შრომის წითელი დროშის ორდენს; გახლავთ რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდებასთან ერთად, მიღებული აქვს საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელები; თენგიზ ჩიკვაიძე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედალოსანი და ღირსების ორდენოსანია.

გამორჩეულ მოქალაქესა და მამულიშვილს, სიკეთით სავსე პიროვნებას, ბატონ თენგიზ ჩიკვაიძეს 80 წლის იუბილეს ვულოცავთ! მადლობას ვუხდით სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო დარგში მრავალწლიანი მოღვაწეობისთვის და ფასდაუდებელი წვლილისთვის! ვუსურვებთ მხნეობას და დღეგრძელობას!

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შპს „საქართველოს მელიორაცია“**



# კრედიტით აშენებული ტურისტული ობიექტები მთავრობამ საპატრიარქოს გადასცა

**• იყალთოს მონასტრის მიმდებარედ ინფრასტრუქტურული შენობა და საზოგადოებრივი ობიექტი**

**• იყალთოს ქვევრის სკოლა ლიცეუმი – „ქვევრის სახლი“;**

**• ვიზიტორთა მართვის ცენტრი – „შუამთის კარიბჭე“;**

**• ახალი შუამთის მონასტრის მიმდებარედ საზოგადოებრივი ობიექტები;**

**• ძველი შუამთის მონასტრის მიმდებარედ ინფრასტრუქტურული შენობა და საზოგადოებრივი ობიექტი.**

ყველა ეს შენობა დღეს უკვე საპატრიარქოს ბალანსზეა. მსოფლიო ბანკის კრედიტით 2015–2016 წლებში აშენებული ტურისტული ობიექტების ჯამური ღირებულება 7,5 მილიონ ლარს შეადგენს, მთავრობამ სესხით აშენებული ობიექტები საპატრიარქოს უზურფუქტის უფლებით, 49 წლის ვადით გადასცა.

მათგან ყველაზე მსხვილი, სოფელ იყალთოში ქვევრის სკოლა ლიცეუმი – „ქვევრის სახლია“. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმო-მუზეუმი 5 მილიონი ლარი დაჯდა. უფრო კონკრეტულად კი მშენებლობა 2 645 792 ლარი დაჯდა, საცხობი ღუმელის შეძენა-დამონტაჟება კი 2 086 637 ლარი. პროექტის მიზანი საქართველოში ქვევრის დამზადების ტრადიციული მეთოდების აღდგენა და სოფელ იყალთოს ტურისტული და საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარება იყო.

ასევე მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით აშენდა ძველ და ახალ შუამთაში ტურისტული ობიექტები, რომელთა საერთო ღიებულებამ 2 645 792 ლარი შეადგინა. პროექტის ფარგლებში მოეწყო ვიზიტორთა მართვის ცენტრი „შუამთის კარიბჭე“, ახალი შუამთის მიმდებარედ აშენდა ინფრასტრუქტურული შენობები და საზოგადოებრივი ობიექტები.

შენობებთან ერთად საპატრიარქოს საკუთრებაში გადავიდა ასევე შუამთაში მდებარე 22 440 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

ტურისტული ობიექტები „რეგიონული განვითარების პროექტის“ ფარგლებში აშენდა. პროექტისთვის მსოფლიო ბანკმა 2012 წელს 60 მილიონი დოლარის სესხი დაამტკიცა, რომლის მიზანიც, კახეთის რეგიონში ტურიზმსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა.

აღსანიშნავია, რომ ამავე პროექტით აშენებული კიდევ ერთი ტურისტული ობიექტი „მაწვნის სახლი ალავერდთან“, მთავრობამ საპატრიარქოს 2013 წელს გადასცა. მისი მშენებლობა 1 მილიონი ლარი დაჯდა.

ტურისტული ობიექტების საკუთრებაში გადაცემა საპატრიარქომ, მშენებლობის დასრულებისთანავე მოითხოვა. მიზეზად ობიექტების ეკლესია-მონასტრების მიმდებარედ განთავსება დასახელდა.

როგორც საპატრიარქოს მიერ ეკონომიკის სამინისტროსადმი გაგზავნილ წერილშია ნათქვამი, ტურისტული ობიექტების სწორად და ეფექტიანად ფუნქციონირება პირდაპირ არის დაკავშირებული სამონასტრო ცხოვრების წესთან და მონასტრულ გარემოსთან.

როგორც წერილშია ნათქვამი, საპატრიარქო თავის მხრივ ობიექტებს შესაბამისი ვალდებულებებით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 49 წლის ვადით, გადასცემს ალავერდის განვითარების ფონდ ტალავერს. **„ამ ფონდს დიდი გამოცდილება აქვს მსგავსი ტურისტული თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების წარმატებულად მართვაში“,** – ნათქვამია წერილში.

ფონდი „ტალავერი“ 2013 წელს შეიქმნა, ფონდი დაფუძნებიდან მართავს „მაწვნის სახლი ალავერდთან“. მისი დამფუძნებლები არიან ბიზნესმენები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები: მალხაზ ბეგიაშვილი, ნუგზარ დვალი, დავით ნიკოლაიშვილი და ირაკლი მგალობლიშვილი.

HTTP://WWW.BM.GE

# შესაძლოა, ჩვენი გზები ვიზუალურად კარგად გამოიყურებოდეს, მაგრამ საბოლოოდ არ გაამართლოს!

**რამდენად უხარვეზოა საქართველოს გზები და მაგისტრალები და ხომ არ ქმნის საავარიო რისკებს?! არასამთავრობოებს ეჭვი აქვთ, რომ მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები დარღვევებით მიმდინარეობს. რას ფიქრობენ ამ საკითხზე სპეციალისტები?!**

„საქგზამეცნიერების ინსტიტუტის“ გენერალური დირექტორი, დოქტორი, პროფესორი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, თბილისის საპატიო მოქალაქე **თამაზ შილაკაძე** აცხადებს, რომ



შეიძლება გზის ახალი საფარი დააგო, დახარჯო დიდი ფული, ააშენო მაგისტრალი „ა“ წერტილიდან „ბ“ წერტილამდე, მაგრამ იმ გზამ არ გაამართლოს. ამდენად, საჭიროა ერთიანი სისტემის შექმნა, რომ ყველა სოფელთან, რაიონის ცენტრთან მივიდეს გზა, თანაც გააჩნია მოძრაობის ინტენსიობას. ზოგიერთი რაიონის ცენტრთან უნდა მივიდეს სულ სხვა სიგანის, სხვა დატვირთვის მქონე გზა. ამის გარეშე გზის ხარისხზე საუბარი, ან კიდევ იმაზე მსჯელობა, რომ თურმე ჩინელებმა ააშენეს უხარისხო გზა, გაუმართლებელია. წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომელ კუთხეში სჯობს გზებზე, ხიდებსა და გვირაბებზე დაიხარჯოს მილიონები. ისე არ უნდა მოხდეს, რომ რომელიღაც თანამდებობის პირმა მოინდომოს ამა თუ იმ ტერიტორიაზე გზის დაგება და ეს სურვილი განახორციელოს. გზების დაგება, პირველ რიგში, სპეციალისტებთან უნდა იყოს შეჯერებული.

მანვე განმარტა, რომ საქართველოში კარგი მშენებლები, სპეციალისტები გვყავს და უცხოელები არ უნდა აგებდნენ ჩვენს გზებს. უცხოელები შეიძლება გვყავდეს მხოლოდ კონსულტანტებად და არა წამყვან ფირმებად. მერე რა, რომ უცხოელები ტენდერებში იაფ მომსახურებას სთავაზობენ ჩვენს სახელმწიფოს:

**„ერთი მითხარით, ქორწილს რომ იხდიდეთ და ვინმემ შემოგთავაზოთ იაფფასიანი ქორწილი, სადაც ლიმონათი არ იქნება, საჭმელში ნიგოზი დააკლდებათ, ვინმე დათანხმდება ასეთი ქორწილის გადახდას? 86 წლის გახლავართ, ამიტომ არ მეშინია აზრის გამოთქმის. სჯობს, დახარჯონ მეტი თანხები, ნაკლებ კილომეტრზე დააგონ გზები, მაგრამ ეს გზები ხარისხიანი იყოს. არა ისე, რომ გამოაცხადებენ ტენდერს და ზოგჯერ სულ რაღაც 2-3 კვირაში მოითხოვენ გზის პროექტის ჩაბარებას. ეს ხომ არასპეციალისტების ქმედებაა?“**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **პაატა აროშიძე** ჩვენთან საუბარში განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების როლი. თავის დროზე გაუქმდა ყოველგვარი მარეგულირებელი, მათ შორის, მშენებლობის კონტროლის ორგანოც. ეს იყო ე.წ. ლიბერალური ეკონომიკის გამოძახილი, ნეოლიბერალიზმის მიმდევრობა და ახლა აღმოჩნდა, რომ გზები, მაგისტრალები მთლად მართებულად არ ყოფილა დაგებული.



**„სახელმწიფომ რეგულირების, კონტროლის რაღაც მექანიზმი უნდა დაიტოვოს. მშენებლობის ინჟინრის, ხელმძღვანელის ან მენეჯერის დასჯა უბრალო მოქალაქისთვის შეღავათი არ არის, რადგან მოქალაქე ყოველთვის ხელს იშვერს სახელმწიფოსკენ, რომლის ვალდებულებაცაა მოქალაქეების დაცვა. ამისთვის აუცილებელია კონტროლიც, რეგულირებაც. აჭარის გზებზე ხშირად ვმგზავრობ, მაგრამ მათ უსაფრთხოებაზე ეჭვი არასდროს შემპარვია. პირველადი განათლებით მშენებლობის ინჟინერი გახლავართ, მამაჩემიც მეგზევეა და მშენებლობის პროცესში, გარკვეულწილად, ვიყავი ჩართული. დღეს ქართული სამშენებლო სტანდარტები, ფაქტობრივად, არ არსებობს. მშენებლები საბჭოთა კავშირის დროს არსებული „სტრაიტელნიე ნორმი ი პრავით“ ხელმძღვანელობენ. არადა, ნებისმიერ ინფრასტრუქტურას და საინჟინრო ნაგებობას რისკი გააჩნია და ეს არის, პირველ რიგში, ტექნიკური რისკი. ეს რისკი მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ“,** – აცხადებს პაატა აროშიძე.

**მანანა ნოზაძე**

# ვაი ასეთ ჟურნალისტობას!

**ჟურნალისტიკას „მეოთხე ხელისუფლებას“ უწოდებენ მთავრობის, პარლამენტის და სამართალდამცავი ორგანოების შემდეგ.**

**ეს ადრე იყო, იმ „შეჩვენებული“ და „ავადსახსენებელი“ კომუნისტები დროს!**

**ახლა?**

კომუნისტების დროს რაიონულ გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში წერილების განყოფილების გამგედ ვმუშაობდი, მაშინ ანონიმური წერილები აკრძალული არ იყო და რანაირი წერილ-საჩივრები აღარ შემოდიოდა ჩვენთან (განსაკუთრებით გუჯარეთის ხეობიდან!)...

ბუნებრივია, კრიტიკული წერილები და მოქალაქეთა საჩივრები ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც ხვდებოდა.

პარტიის რაიკომში და ალმასკომში ასეთი წერილების გამოქვეყნებას ერთი ამბავი მოჰყვებოდა ხოლმე, აუცილებლად გამოხმაურება იყო საჭირო. ხშირად საკითხები პარტიის ბიუროზე ან ალმასკომის სხდომაზე იხილებოდა და გადამჭრელ ზომებს ღებულობდნენ.

მე სპეციალურ ბლანკს გამოსახმაურებლად მხილებულ წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ვუგზავნიდი. ამ ბლანკს ზევით კუთხეში ეწერა: **„საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა და ამ ბრძანებულებით ყოველგვარ საჩივარს ერთ თვეში უნდა გაეცეს პასუხი“** (!) პასუხები იცემოდა და ეს პასუხები გაზეთშიც იბეჭდებოდა. ვინც პასუხს არ გვიგზავნიდა, იმათ გაზეთის ფურცლებზე „გამოვაჭენებდით“ და რაიკომიდან უფრო მკაცრად სთხოვდნენ პასუხს.

**აი, მაშინ მართლა იყო ჩვენი გაზეთი (ე.ი. პრესა) მეოთხე ხელისუფლება!**

**ახლა? — ხშირად რჩება ჩვენი ხმა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, ანუ: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“...**

**განა არ შეიძლება ახლაც იყოს სპეციალური ბლანკები პრეზიდენტის თუ პრემიერ-მინისტრის ბრძანებით ზედწარწერილი, რომ: ამა და ამ საჩივარს (თუ კრიტიკულ წერილს) ერთ თვეში გაეცეს პასუხი?!“ უნდა იყოს, მაგრამ არ არის!** რესპუბლიკურ პრესაში კრიტიკული წერილების მეტი რა იწერება, მაგრამ ვინმე სცემს პასუხს? — არავინ! — „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“... **არადა, ხალხი მოითხოვს პასუხის გაცემას. მოითხოვს მკაცრად!** ამ პასუხებს ელოდებიან; პასუხები კი არ ჩანს. ხალხი ამ მოლოდინით დაიღალა!

ხშირად რედაქციის მუშაკების მონაწილეობის გარეშე რეიდები არ ტარდებოდა. რეიდებს ატარებდა პოლიცია, სახალხო კონტროლი, საგადასახადო ინსპექცია თუ სხვა მაკონტროლებელი ორგანოები, თვით პარტიის და კომკავშირის რაიკომი. ახლა? რეიდები (შემოწმებები) საერთოდ აღარ ტარდება. თუ ტარდება, ჩვენ არ გვეძახიან. როცა მოვითხოვთ ჩვენი თაოსნობით რეიდის მოწყობას, მაშინ მაკონტროლებლები ვერ იცლიან (ათასნაირ მიზეზს იგონებენ).

თანაც ჟურნალიტებს წინ გადაგვეღობა ჩვენი ვითომ დემოკრატიული სახელმწიფოს მოთხოვნა (დადგენილება), რომ: **რომელიმე საწარმოში თუ ორგანიზაციაში შესამოწმებლად ვერ შევალთ, თუ სასამართლოს ნებართვა არ გვექნება (!)** ამ ნებართვას კი ფული უნდა, დრო უნდა. თანაც ეს ნებართვა მოსამართლემ შეიძლება სულაც არ მოგვცეს! **ამით კი ირღვევა პრესის შესახებ კანონი,** რომ ნებისმიერი წარმოება-დაწესებულების და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია, ჟურნალისტი მიიღოს და მის კითხვებს უპასუხოს, ხელი შეუწყოს ნებისმიერი საქმიანობის შემოწმებაში. საიდან და რატომ შემოიღეს სასამართლოს ნებართვის აუცილებლობა? შესაძლოა, იმიტომ, რომ ჟურნალისტების მომრავლების გამო ისინი ხშირად „აწუხებდნენ“ შესამოწმებელი ობიექტების მესვეურთ, ან ცალკეულ ოფიციალურ პირებს. შესაძლოა, ჟურნალისტები რაღაც ტენდენციურობასაც იჩენდნენ, ანდა „ამოჩემებული“ ჰყავდათ ესა თუ ის „ობიექტი“ თუ პიროვნება. ეს პრობლემა, შესაძლოა, თბილისში და სხვა დიდ ქალაქში არსებობს. მაგრამ რაიონებში, სადაც თითზე ჩამოსათვლელი ჟურნალისტები მოღვაწეობენ, ამ ნებართვის აღება არ უნდა იყოს აუცილებელი!

## კალმით მებრძოლი პროფესიონალები საქართველოში ძალზე დაჩაგრულები ვართ!



**არის მეორე გადაულახავი წინაღობა. ცენტრალურ უწყებებში (სამინისტროებში, დეპარტამენტში, ფირმებში) საკუთარი პრესსამსახურები შექმნეს. ისინი, ფაქტობრივად, კორპორატიული (კერძო და საიდუმლო) სამსახურებია;** ამ პრესსამსახურების ნებართვის გარეშე ნებისმიერი ჟურნალისტი საგაზეთო მასალას ვერ იღებს რაიონში განთავსებულ მათ დაქვემდებარებულ უწყებებში. მოგეხსენებათ, რაიონში ფუნქციონირებს: გაზის, წყლის, დენის, ტყის დაცვის სამსახურები, თვით პოლიციის რაიონული სამმართველო. ისინი რაიონულ ხელმძღვანელობას არ ემორჩილებიან. მის უდიდებულესობას — ხალხს (ქვეყნის პატრონს!) აინტერესებს, როგორ მუშაობენ ისინი, რა პრობლემები აქვთ. ისინი კი ჟურნალისტებს არ გვიკარებენ, გვეუბნებიან, თბილისში ჩვენს ზემდგომ ორგანოებში პრესსამსახურებს მიაკითხეთ, არა გვაქვს უფლება, ინტერვიუ მოგცეთო. კი, მაგრამ რატომ არა აქვთ უფლება? ისინი უფრო დაწვრილებით არ გადმოგვცემენ, თავიანთ სამსახურში რა პრობლემები აქვთ? თბილისში თუ გუბერნიაში მოკალათებულმა ჟურნალისტმა უფრო იცის საქმის ვითარება, რაიონში რა ხდება თუ ადგილებზე მომსახურე პირებმა? **ამ სამსახურების ხელმძღვანელებთან „ცოცხალი ინტერვიუს“ საშუალება მოგვისპეს ჟურნალისტებს.** მაშინ ხომ ამ ხელმძღვანელებსაც წარმოვაჩენდით, როგორც პიროვნებებს. ადრე ასე იყო.

**საქმე ის არის, რომ პროვინციებში ხშირად უკმაყოფილონი არიან „ცენტრის“ მუშაობით, არ ეწევათ სათანადო დახმარება, არ აწვდიან საჭირო მასალებს და ა.შ. და ცენტრში „ეშინიათ“ (ამ სიტყვის პირდაპირი და ღრმა გაგებით) მათ ხარვეზებზე ხალხმა არ გაიგოს!! ამიტომ შექმნეს ეს ზედმეტი კორპორატიული პრესსამსახურები. ტელეფონებიც კი კორპორატიულები აქვთ! ეს არის დემოკრატია და გამჭირვალობა? საქმე უზარმაზარ ფინანსებს ეხება.**

სამწუხაროდ, ასე იმართება მთელი მსოფლიო. უზარმაზარი თანხების დამალვა და ფინანსური მანიპულაციები წმინდა წყლის კაპიტალისტური მოვლენაა. **ადამიანების მართვა და ჩაგვრა** ახლა ჩუმი და უზარმაზარი მასშტაბების ფინანსური მანიპულაციებით ხდება. ამ მანიპულაციებში ჩათრეულია საქართველოც. დოლარის და ნავთობის ღირებულება მერყეობს მსოფლიო სტანდარტებით (თუმცა ჩვენთან უფრო აძვირებენ!). **მასონ-ლიბერასტი ოლიგარქები მართავენ მსოფლიოს,** რომლებიც ფარულ კარტერულ სექტად არიან ჩამოყალიბებულები. მათ მხარს უმაგრებს კორპორატიული პრესა და მათ მიერ გაჩაღებული საინფორმაციო ომები. ცნობილია, რომ ამერიკის პრეზიდენტმა **ტრამპმა** ამხილა თავის ქვეყნის შიგნით მთელი რიგი საინფორმაციო საშუალებები თაღლითობაში და კორპორატიულობაში, ჟურნალისტური ეთიკის დარღვევაში. ამ დროს გუნდრუკს უკმევენ თაღლითობას, ვითომ ბიზნესს და იჩაგრება პიროვნების (ამ შემთხვევაში ჟურნალიტების) ღირსება და თავმოყვარეობა.

ჩემი აზრით, საქართველოში, ძალზე დაჩაგრულები ვართ ჟურნალისტები. **ჟურნალისტების ღირსებას პირველი დარტყმა მიაყენა 90-იანი წლების უგუნურმა გადაწყვეტილებამ გასული საუკუნის 90-იანი წლის დასაწყისში,** როცა რედაქციებს ჩამოაშორეს სტამბები და მთელი მატერიალური ფასეულობები სახელმწიფოს მიაკუთვნეს. შემდეგ იყო სააკაშვილის შეტევა პრესაზე. ნაძირალა მიშამ უტიფრად განაცხადა, გაზეთებს არ ვკითხულობო, მერე საჯარო სამსახურებს აუკრძალა გაზეთის გამოწერა. თბილისში, ყოფილ ლენინის ქ. №14-ში არსებული უზარმაზარი შენობიდან (გამომცემლობა „სამშობლო“) რედაქციები ქუჩებში გამოყარეს! საკვირველია, ახლა ზოგიერთი რედაქცია როგორ არსებობს. მაგალითად, ერთ დროს რესპუბლიკაში პრესის ფლაგმანი გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია** ამჟამად განლაგებულია (დაქირავებული აქვთ) სარდაფის მსგავს სამ ოთახში და იქ მოღვაწეობენ ცნობილი, გამოცდილი და კომპეტენტური ჟურნალისტები. როგორც ეს გაზეთი, ასევე სხვა რესპუბლიკური გაზეთები: „ასავალ-დასავალი“, „საქართველო და მსოფლიო“, „ალია“, „კვირის პალიტრა“, „ქრონიკა“ და სხვები **პირდაპირ ცეცხლს აღვივებენ თავიანთ ფურცლებზე, ისეთ კრიტიკულ წერილებს წერენ, მაგრამ ვინ უგდებს მათ ყურს? მთავრობაც ყურს არ იბერტყავს!**

**ბეჭდური მედიის გარშემო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შეიკრა საქართველოს ნაღები საზოგადოება. ზოგი პირში წყალჩაგუბებულია, ზოგი ითმენს, ზოგიც მოლოდინშია.**

**მოთმინებაცაა და მოთმინებაც! როდემდე?**

**უშანგი ჯანგირაშვილი,**
**რაიონულ გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

## საერთაშორისო ექსპერტი საქართველოს ვენახების კადასტრის შედგენაში დაეხმარება!

